საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ცაგერის მუნიციპალიტეტის

საინვესტიციო პასპორტი

2011

(მუნიციპალიტეტის რუქა)



პასპორტის სტრუქტურა

შესავალი ---------- გვ.4

1. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება ----------გვ4-8

2. მუნიციპალიტეტის სანედლეულო – რესურსული პოტენციალი გვ 8-11

3. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა ----------გვ 11-21
   3.1. საბაზრო ინფრასტრუქტურა ----------გვ 11
   3.2. ბიუჯეტი ----------გვ 12
   3.3. სოფლის მეურნეობა ----------გვ 13-14
   3.4. მრეწველობა ----------გვ 15
   3.5. ენერგეტიკა ----------გვ 16
   3.6. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ----------გვ 16
   3.7. მიმდინარე და დაგეგმილი საინვესტიციო პროექტები დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით გვ 16-17

4. მუნიციპალიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა გვ 18

5. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საპროგნოზო პარამეტრები გვ 18-21

6. საინვესტიციო წინადადებების მატრიცა გვ 21

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საინვესტიციო პასპორტი (შემდგომში - პასპორტი) შემუშავებულია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის უფლებამოსილების ფარგლებში არსებული მუნიციპალიტეტების ტერიტორიის მიხედვით.

პასპორტი წარმოადგენს ცაგერის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის შემფასებელი მახასიათებლებისა და მაჩვენებლების ერთობლიობას.

პასპორტის შემუშავების მიზანია მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის განსაზღვრა და საინვესტიციო წინადადებების შემუშავება, რათა უზრუნველყოფილ იქნას:

– ადგილობრივი ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების სრული და ეფექტიანი გამოყენება;

– საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება, ქვეყნის შიდა და გარე ურთიერთობების განვითარება და გაღრმავება;

– დეპრესიულ ტერიტორიულ ერთეულებში შექმნილი კრიზისული ვითარების დაძლევა და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;

– სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;

– გარემოს დაცვა, ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება.

პასპორტი მოიცავს ღონისძიებათა იმ წრეს, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის ეკონომიკის რეალურ მოთხოვნებს და ხელს უწყობს მისი განვითარების სტრატეგიის რეალიზაციას; საინვესტიციო წინადადებები შემუშავდება მეურნეობის ცალკეული დარგების ჭრილში და მოიცავს მონაცემებს განსახორციელებელი საქმიანობის შინაარსის, მატერიალური რესურსების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ფინანსური სახსრების (საკუთარი და მოზიდული) და მოსალოდნელი შედეგის შესახებ.

პასპორტი ორგანულად ერწყმის რეგიონული განვითარების სახელმწიფოებრივ სტრატეგიას; პასპორტში ასახვა უნდა ჰპოვოს ქვეყანაში მოქმედმა სახელმწიფო პროგრამებმა კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის სპეციფიკის შესაბამისად.

1. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

ტერიტორიის ფართობი 754 კმ2

ადმინისტრაციული ცენტრი ქ. ცაგერი

მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის 325კმ.

კლიმატი – ნოტიო

წყლის ძირითადი არტერიები:

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოედინება შემდეგი მდინარეები:

1. მდ. ცხენისწყალი სიგრძე- 32კმ;
2. მდ. რიონი სიგრძე-14კმ.;
3. მდ. ლაჯანური სიგრძე-29 კმ;
4. მდ. რაჩხა სიგრძე-2 კმ;
5. მდ. კვერეშულა სიგრძე-5 კმ;
6. მდ. ნამკაშური სიგრძე-8 კმ;
7. მდ. ჯონოული სიგრძე-20 კმ.

მოსახლეობის რიცხოვნობა 1/01-2010 წ. – 17 365

მოსახლეობის რიცხოვნობა მსხვილ დასახლებებში (ქალაქი, დაბა): მათ შორის: ქალაქის – 1822; სოფლის – 15543

მოსახლეობის სიმჭიდროვე 1/01-2010 წ. –23 სული\კმ^2

დასაქმებულია ეკონომიკაში –1673

უმუშევართა რიცხოვნობა – 1194

ხელისუფლება

მხარეში აღმასრულებელ ხელისუფლებას განახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული. მისი ფუნქციებია უზრუნველყოს რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კოორდინაცია, რესურსების მობილიზება, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ორგანიზება, ინვესტიციების მოზიდვისა და რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა, ადამიანის უფლებების დაცვა და სხვ.

მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერია, გამგეობა) ორგანოების მიერ შემდეგი ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

მოსახლეობა და შრომითი რესურსები

მუნიციპალიტეტი	წელი	მოსახლეობა		
		სულ	ქალაქი	სოფელი
1	2	3	4	5
ცაგერი	2010	17365	1822	15543

მოსახლეობის რაოდენობა ტერიტორიული ორგანოებისა და სოფლების მიხედვით 1/01-2011 წ. მდგომარეობით

№	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	კომლი	სული
1	ქ. ცაგერი		645	1822
2	ტვიში	ტვიში	238	538
		ლახეფა	37	56
		ქორენიში	123	205
		ორხვი	184	350
3	ალპანა	ალპანა	91	243
		აჭარა	87	183
		ზოგიში	154	291
		ცაგერა	49	81
4	ლაილაში	ლაილაში	251	510
		თაბორი	77	145
		სურმუში	99	235
		ღუ	28	60
5	ღვირიში	ქვემო ღვირიში	97	199
		ზემო ღვირიში	69	93
		ნასპერი	120	259
		უცხერი	117	232
		სანორჩი	49	106
6	ნაკურალეში	ნაკურალეში	94	155
		ცხუკუშერი	71	131
7	უსახელო	უსახელო	195	410
		ხოჯი	57	148
8	ორბელი	ორბელი	455	1112

		გაგულეჩი	118	198
		ლაჯანა	185	436
		კურცობი	22	64
		წილამიერი	50	108
9	სპათაგორი	სპათაგორი	49	214
		ლეშკედა	85	110
		ლაცორია	100	185
10	საირმე	ზემო საირმე	206	320
		ქვემო საირმე	51	112
11	ჩხუტელი	ჩხუტელი	304	887
		ლასხანა	67	132
		დოღურაში	12	25
12	ლასურიაში	ლასურიაში	200	504
		მახაში	188	433
		დეხვირი	110	281
		ლესინდი	52	143
13	აღვი	ქვემო აღვი	94	275
		ზემო აღვი	28	66
		შუა აღვი	46	102
		კენაში	22	30
14	ოყურეში	ოყურეში	315	682
		ოფიტარა	48	82
15	ზუბი	ზუბი	260	709
		ისუნდერი	74	186
		მახურა	47	115
16	წიფერჩი	წიფერჩი	131	372
		ბარდნალა	106	297
		ლარჩვალი	54	145
17	ჩქუმი	ჩქუმი	45	159
		ქულბაქი	76	196
18	ლუხვანო	ზემო ლუხვანო	47	138
		ქვემო ლუხვანო	64	163
		ზარაგულა	37	107
19	ქვედა ცაგერი	ქვედა ცაგერი	404	1292
		ჭალისთვი	115	356
		გვესო	63	197
	სულ	58	7262	17365

ცაგერის მუნიციპალიტეტში შრომითი რესურსი (15 წლიდან ზემოთ საპენსიო ასაკის ჩათვლით) 13520 კაცს შეადგენს, რაც მოსახლეობის 77.9%-ს უდრის. აქედან დაუსაქმებელთა რაოდენობა დაახლოებით 1.194

ათასი, ანუ სამუშაო ძალის 8.8%. ეკონომიკის დარგში დასაქმებულია 1673 კაცი, ანუ დასაქმებულთა საერთო ოდენობის 13.6%.

დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში გამოიყოფა თვითდასაქმებულები (შინა მეურნეობაში დასაქმებული) 9210 კაცი, 74.7%

დასაქმების ძირითადი სფეროები

- სოფლის მეურნეობა (შინა მეურნეობების სახით)- 9331 (მ.შორის დაქირავებული 121).
- მშენებლობა-711
- ვაჭრობა-285
- მომსახურეობა-456
- მრეწველობა-100
- საბიუჯეტო ორგანიზაციები-1443

სულ დასაქმებული-12326

საშუალო ხელფასი 189.6 ლარი

საშუალო ხელფასი სახელმწიფო სექტორში აშშ დოლარზე გაანგარიშებით 132.7 $ შეადგენს, კერძო სექტორში 82$ დოლარს.

საშუალო წლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1905.3 ლარს.

განათლება და კვალიფიციური შემადგენლობა

ეკონომიკაში დასაქმებულთა განათლება აქვს 0.450 ათას კაცს, პროფესიული 0.241 ათას კაცს, ხოლო სრული ზოგადი განათლება 0.982 ათას კაცს.

შრომითი რესურსების კვალიფიციური შემადგენლობა (მოკვლევის მასალები)

2. სანედლეულო – რესურსული პოტენციალი

მინერალური და რეკრეაციული რესურსები

– სასარგებლო წიაღისეული სახეებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით. მათი მარაგების ოდენობა.

წიაღისეულის დახასიათება და დაჯგუფება ათვისების ხარისხის მიხედვით:

- ექსპლუატაციაში მყოფი:

- შესწავლილი და მომზადებული საექსპლუატაციოდ:
- დოღურაში -(გამრი-დიაზი) ცაგერიდან 6 კმ. 1 მილიონი კუბ.მეტრი, გაცემულია ლიცენზია 20 წლის წინ, მაგრამ წარმოება ჯერ არ დაწყებულა.
- დაზვერილი მარაგები:
- ოყურეში-(დიაბაზოვის პორფირეტი) ქუთაისი-ცაგერი- ლენტეხის გზის მარცხენა მხარეს ოყურეშიდან 1.5 კმ დაზვერილი მარაგი შეადგენს 2,4 მილიონ კუბ მეტრს.

წყლის რესურსები

მდინარეები, ტბები, წყალსაცავები. მათი პარამეტრები და დახასიათება სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების თვალსაზრისით (მეთევზეობა, ჰიდროენერგეტიკა, წყალმომარაგება და სხვ).

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოედინება მდ. რიონი (ალპანა-ტვიშის მონაკვეთი), მდ. ცხენისწყალი (დოღურაში-ხონის საზღვარი 35 კმ). მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მდ. ლაჯანური-31კმ. მდ.ჯონოული-21კმ. მდ. რაჩხა-2.5კმ. მდ. კვერეშულა-5კმ. მდ. ნამკაშური 8 კმ. სხვა მცირე მოცულობის ღელეები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის ორი წყალსაცავი ლაჯანურჰესის სათავე ნაგებობა ქ.ცაგერში და ლაჯანურჰესის წყალსაცავი, სიღრმე-70 მ.

ტყის რესურსები

ტყის რესურსების დახასიათება (ფართობი, ჯიშობრივი შემადგენლობა, სამრეწველო დანიშნულება, ფლორა და ფაუნა).

ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადი ნაწილი უჭირავს შერეულ ტყეებს 47 000 ჰა (ფოთლოვანი, წიწვოვანი).

მინერალური წყლები

მინერალური წყლების მარაგი სახეების მიხედვით და მათი შეფასება სამკურნალო-სუფრის და ბალნეოლოგიური თვალსაზრისით.

- ლაშიჭალა- ბალნეოლოგიური კურორტი მდებარეობს ცაგერიდან 20 კმ-ზე მდ. ლაჯანურის ხეობაში ზღვის დონოდან 800-900 მეტრზე. კლიმატი. დაბალმთიანი, ატმოსფერული ნბალექის რაოდენობა 1200-1400მმ. პროფილი

გასტროლოგიური ართროლოგიური (პნს) პერიფერიულ ნერვული სისტემა. წყაროები დღეღამური დებეტი 20 ათას ლიტრს აღწევს, იყენებენ როგორც სასმელად ისე სააბაზანო პროცედურისათვის. კურორტი ფუნქციონირებს, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი. კურორტში ფუნქციონირებს 250 კაციანი პანსიონატი და კერძო, საოჯახო სასტუმროები.

- საკურორტო ადგილები:

- ალპანა– სოფ. ალპანა მდებარეობს ცაგერიდან 23 კმ-ზე. ზღვის დონიდან 600 მ. სულფიდური ტიპის მინერალური წყალი-პროფილაქტიკური ართროლოგიური.

- ახალჭალა-ცაგერიდან მდებარეობს 17კმ-ზე, ზღვის დონიდამ 1700 მეტრზე. ნახშირმჟავა მინერალური წყალი. სამედიცინო პროფ. პროფიაქტიკური გასტროენტეროლოგიური. გამოიყენება მცირეწლოვანი ბავშვების სამკურნალოდ. სეზონი ივლისი, აგვისტო.

- აღვი-ცაგერიდან მდებარეობს 15კმ-ზე ზღვის დონიდან 470 მ. მინერალური წყლის ძირითადი ტიპი სულფიდური. სავარაუდო სამედიცინო პროფილი პროფილაქტიკური, გინეკოლოგიური, ართროლოგიური, ნერვოლოგიური.

- ლაძგვერია – მდებარეობს ცაგერიდან 25კმ-ზე. ზღვის დონიდან 420 მ. მინერალური წყლის ტიპი აზოტოვანი. სავარაუდო სამედიცინო პროფ. გინეკოლოგიური, ართროლოგიური, ნერვოლოგიური.

- უსახელო- მდებარეობს ცაგერიდან 15კმ-ზე. ზღვის დონიდან 800 მ. წყლის ტიპი. აზოტოვანი სავარაუდო პროფილაქტიკური გასტროენტეროლოგიური.

- ძუღური– მდებარეობს ცაგერიდან 18კმ-ზე. ზღვის დონიდან 1140მ. მინერალური წყლის ტიპი ნაზშირმჟავა. სავარაუდო სამედიცინო პროფ. პროფილაქტიკური გასტროენტეროლოგიური. ძუღური ძირითადად გამოიყენება დიაბეტით დაავადებულ პირთა სამკურნალოდ. არის ძალზე დადებითი ეფექტი.

სამონადირეო – სარეწაო რესურსები

ფაუნის დახასიათება ცხოველთა და ფრინველთა სახეების მიხედვით. სამონადირეო მეურნეობების შექმნისა და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების შეფასება.

მდ. ჯონოულის და მდ. ლაჯანურის ხეობები შეიძლება გამოყენებული იქნას სამონადირეო ტურიზმის, მეთევზეობის, ცხენოსნობის და ნადირობის თვალსაზრისით. მდ. ჯონოულის აუზის ფართობი შეადგენს 114 კმ^2, მდინარეში არის თევზი (კალმახი) და შესაძლებელია მოეწყოს მეთევზეობის ფერმული მეურნეობები. ამვე დროს ნადირობა შეიძლება დათვზე, შველზე და არჩვზე. მდ. ლაჯანურის ხეობის ფართობი შეადგენს 295 კმ^2. არის თევზი (კალმახი,

წვერა), ნადირობა შეიძლება დათვზე, შველზე და არჩვზე. არის გარეული ღორი.

3. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება:

- მთლიანი მუნიციპალური პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა:\

1. მრეწველობა.
2. მშენებლობა.
3. სოფლის მეურნეობა.
4. მომსახურეობა.
5. ვაჭრობა.

ძირითადი მაპროფილებელი პროდუქციის სახეები:

1. ყურძენი
2. ხილი
3. მარცვლეული კულტურები (სიმინდი, ლობიო)
4. თაფლი
5. ხორცი
6. რძე

მხარის მთლიანი პროდუქციის ხვედრითი წონა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში:

- მთლიანი მუნიციპალური პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 2153.7 ლარს.

- ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობა 2005-2010 წლებში (ძირითადი სახეობებისა და ქვეყნების ჭრილში)-არა.

3.1. საბაზრო ინფრასტრუქტურა

- საკრედიტო ორგანიზაციები: ს/ს „ლიბერთი ბანკის“ ცაგერის ფილიალი
- სადაზღვევო ორგანიზაციები-არა
- საფინანსო ორგანიზაციები (რომლებიც განახორციელებენ ოპერაციებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით)-არა.
- კონსალტინგური მომსახურების ორგანიზაციები (აუდიტი, კონსულტაციები ეკონომიკისა და მართვის სფეროში)-არა
- სავაჭრო-სამრეწველო პალატები და სხვ-არა

3.2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

2007-2011 წლების ბიუჯეტები შემოსავლისა და გასავლის ძირითადი მუხლების მიხედვით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის (მერიის) ბიუჯეტი 2007-2011 წლებში

	2007წ.	2008წ.	2009წ.	2010წ.	2011წ.
1. ბიუჯეტის შემოსულობები, სულ	2747.5	3835.7	4190.4	4587.2	
1.1. ბიუჯეტის შემოსავლები, მთლიანად	2736.5	3826.8	4170.0	4571.5	3525.7
მათ შორის:					
- საგადასახადო შემოსავლები	921.2	189.9	349.1	361.1	357.6
-არასაგადასახადო შემოსავლები (მოსაკრებლები და სხვა შემოსავლები)	137.7	48.9	85.9	73.7	81.0
-გრანტები (ტრანსფერის ჩათვლით)	1677.6	3588.0	3735.0	4136.7	3072.1
1.2. არაფინანსური აქტივების კლება	11.0	8.9	20.4	15.7	15.0
1.3. ფინანსური აქტივების კლება					
2. ბიუჯეტის გადასახდელები, სულ	2177.4	4242.3	4312.1	4445.3	3525.7
2.1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	635.1	650.2	1235.4	1237.8	1237
2.2. თავდაცვა	21.7	35.0	50.8	57.7	62.0
2.3. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	94.5	94.9	127.3	137.5	156.0
2.4. ეკონომიკური საქმიანობა	533.6	1412.0	591.7	852.9	811.6
2.5. გარემოს დაცვა		44.2	155.9	210.1	80.0
2.6. საბინაო-კომუნალური მეურნეობა	286.3	1122.4	544.9	498.3	80.0
2.7. ჯანმრთელობის დაცვა	62.2	92.0	99.5	85.8	75.0
2.8. დასვენება, კულტურა, რელიგია	303.6	315.9	758.5	855.9	559.0
2.9. განათლება	166.4	394.2	572.6	341.9	295
2.10. სოციალური დაცვა	74.0	81.5	175.6	167.4	170.1

მუნიციპალიტეტის ნაერთი ბიუჯეტი (მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამი) იგივე ცხრილის სახით.

3.3. სოფლის მეურნეობა

წამყვანი სახების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება 2010 წელს

№	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	2007 წელი	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი	2011 წელი
1	ყურძენი	ტ.	1800	1700	1500	2500	
2	ბოსტნეული	ტ.	125	105	100	60	
3	ხილი	ტ.	3500	3800	3200	3000	
4	თაფლი	ტ.	24.8	28.5	30.60		
5	მარცვლეული	ტ.	6400	5400	5000	4200	
6	პარკოსანი	ტ.	1800	1600	1500	525	
7	ხორცი	ტ.	700	770	600	400	
8	რძე	ტ.	5720	5733	5000	3500	

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა სახეების მიხედვით სულ: 14864 ჰა;

მათ შორის:

- სახნავი-2842 ჰა;
- მრავალწლიანი ნარგავები -1120ჰა;
- სათიბი -1060ჰა;
- საძოვრები -9842 ჰა;
- საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები 359247.2 $მ^2$ ეზოები 3962 ჰა.

– მსხვილი ფერმერული მეურნეობების, ფერმერთა ასოციაციების კოოპერატივების და სხვ გაერთიანებების რაოდენობა-არა

– სოფლის მეურნეობის მომსახურე აგრო-ცენტრების, სერვის-ცენტრების რაოდენობა და მათი მასალებითა და ტექნიკით აღჭურვილობის დონე.

№ რიგზე	ცენტრის დასახელება	საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი)	გამოშვებული პროდუქციის (შესრულებული სამუშაოს) მოცულობა, ათასი ლარი	აღჭურვილობის დონე (რა ტექნიკასა და მასალებს ფლობს, ჩამოვთვალოთ)
1	ამხანაგობა „თაკვერი 21“	მომსახურება სოფლის მეურნეობის სფეროში		ბელარუსი 2 ერთეული. 1 მოტობლოკი

სოფლის მეურნეობის დარგებისა და შესაბამისი პროდუქციის დახასიათება (წარმოების მოცულობა 2010 წელს, მისი დინამიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში).

№	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთეული	2008 წელი	2009 წელი	2010 წელი
1	ყურძენი	ტ.	1700	1500	2500
2	ბოსტნეული	ტ.	105	100	60
3	ხილი	ტ.	3800	3200	3000
4	თაფლი	ტ.	28.5	30.60	
5	მარცვლეული	ტ.	5400	5000	4200
6	პარკოსანი	ტ.	1600	1500	525
7	ხორცი	ტ.	770	600	400
8	რძე	ტ.	5733	5000	3500

3.4. მრეწველობა

სამრეწველო საწარმოთა ძირითადი მაჩვენებლები

№	მუნიციპალიტეტი	მცირე საწარმოები (20 კაცამდე)			საშუალო საწარმოები (20-100კაცი)			მსხვილი საწარმოები (100კაცზე მეტი)			სულ მოქმედი საწარმოები		
		საწარმოთა რაოდენობა	დასაქმებულთა რაოდენობა	წარმოებული პროდუქცია (ათ.ლარი)	საწარმოთა რაოდენობა	დასაქმებულთა რაოდენობა	დასაქმებულთა რაოდენობა	წარმოებული პროდუქცია (ათ.ლარი)	საწარმოთა რაოდენობა	დასაქმებულთა რაოდენობა	საწარმოთა რაოდენობა	წარმოებული პროდუქცია (ათ.ლარი)	დასაქმებულთა რაოდენობა
												2010 წელი	2011 წელი
1	ცაგერი	14	100	326117							14	326117	
2													
3													

მრეწველობის დარგებისა და შესაბამისი პროდუქციის დახასიათება (წარმოების მოცულობა 2010 წელს, მისი დინამიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში).

№	მრეწველობის დარგები	2007 წელი (ათ. ლარი)	2008 წელი (ათ. ლარი)	2009 წელი (ათ. ლარი)	2010 წელი (ათ. ლარი)
1	2	3	4	5	6
	პურ-პროდუქტები	89.5	113.3	135.2	114502
	ლიმონათი	14.6	16.7	17.5	21020
	ინერტული მასალები	–	–	112.5	168995
	გადამამუშავებელი მრეწველობა ჩირი)	24.2	35.5	146.8	-
	ხე-ტყის გადამუშავება, ავეჯი, სადურგლო	7.5	3.5	7.0	21600

3.5. ენერგეტიკა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური, საპროექტო სიმძლავრე 105 მგვტ. ასევე ორბელჰესი, ამჟამად უმოქმედო, სიმძლავრე - 2 მგვტ.

ენერგოუზრუნველყოფის დონე ელექტრომომარაგება 100%.
გაზმომარაგება-0

3.6. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

სატრანსპორტო კომუნიკაციების დახასიათება: სატრანსპორტო არტერიები, ტრანსპორტის სახეები მათი მნიშვნელობის მიხედვით.სატრანსპორტო ორგანიზაციები და მათი მუშაობის მაჩვენებლები.

- სარკინიგზო გზების სიგრძე-0
- საავტომობილო გზების სიგრძე

შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასტილის მაგისტრალის 35 კმ-იანი მონაკვეთი, ცაგერი-ალპანა-ამბროლაური-მამისონის მაგისტრალის 22კმ-იანი მონაკვეთი, ალპანა-ქუთაისის მაგისტრალის 15კმ-იანი მონაკვეთი. სულ შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა 72კმ.

- შიდა გზების მდგომარობის დახასიათება:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრი მნიშვნელობის (მუნიციპალიტეტის ცენტრიდან ადმინისტრაციულ ცენტრებამდე) 500 კმ-დე გზაა. უმეტესი ნაწილი ქვიშა-ხრეშოვანი და გრუნტოვანია.

3.7. მიმდინარე და დაგეგმილი საინვესტიციო პროექტები დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით

№	პროექტის დასახელება	დაფინანსების წყარო	პროექტის ღირებულება
1	ცაგერის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია	რეგიონული პროექტების ფონდი	90000
2	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლების წყალსადენების მოწყობა რეაბილიტაცია	რეგიონული პროექტების ფონდი	50000
3	ქალაქ ცაგერში მრავალბინიანი	რეგიონული პროექტების ფონდი	100000

	საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების სრული რეაბილიტაცია		
4	ცაგერის მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზებისა და ხიდ-ბოგირების შეკეთება რეაბილიტაცია	რეგიონული პროექტების ფონდი	100000
5	ქალაქ ცაგერისა და სოფლის ცენტრების გარე განათება	რეგიონული პროექტების ფონდი	85000
	ჯამი:		**425000**
6	ქალაქისა და სოფლის გზების შეკეთება რეაბილიტაცია	ადგილობრივი ბიუჯეტი	50000
7	მძიმე ტექნიკის შეძენა და მოვლა შენახვა	ადგილობრივი ბიუჯეტი	53400
8	სანიაღვრე არხების მოწყობა	ადგილობრივი ბიუჯეტი	20000
9	ქუჩებისა და პარკების აღდგენითი სამუშაოები	ადგილობრივი ბიუჯეტი	20000
	ჯამი:		**143400**
10	ქ. ცაგერში საბავშვო გასართობი პარკის მოწყობა	რეგიონული პროექტების ფონდი (№40 განკარგულება 2010წ)	23740
11	ქ. ცაგერისა და ქვ. ცაგერის სასმელი წყლის მილების შეძენა და მოსახლეობისათვის გადაცემა.	რეგიონული პროექტების ფონდი (№40 განკარგულება 2010წ)	6060
	ჯამი:		**29800**
12	დეხვირის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია	№ 1204 განკარგულება 2010 წ. საჯარო სკოლების სარეაბილიტაცია	79129
13	მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია	№ 1204 განკარგულება 2010 წ. საჯარო სკოლების სარეაბილიტაცია	27952
	ჯამი:		**107081**
14	სოფ. ბარდნალის სანიაღვრე არხის დამატებითი სამუშაოები	რეგიონული პროექტების ფონდი	**5664**
	სოფლის დახმარების პროგრამა		**418968**
	სულ ჯამი:		**1129913**

4. მუნიციპალიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა

– მუნიციპალიტეტში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციები, ფონდები, დონორი ქვეყნების წარმომადგენლობები და მათ მიერ განხორციელებული პროგრამები და პროექტები.

მუნიციპალიტეტში სატემო კავშირების მეშვეობით სხვადასვა პროექტებს ანხორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია (care), „აფხაზინტერკონტი“.

– საზღვარგარეთული ინვესტიციები (პირდაპირი ინვესტიციები და პორტფელური ინვესტიციები). ამ ინვესტიციების გეოგრაფიული და დარგობრივი სტრუქტურა. საზღვარგარეთული კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი საწარმოები (ჩამონათვალი).

მუნიციპალიტეტში მომუშავე მსხვილი ინვესტორები:

მუნიციპალური განვითარების ფონდი

საინვესტიციო კანონმდებლობა. სახელმწიფო მხარდაჭერა ინვესტორებისათვის

(საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, პრეფერენციები ბიზნესის ადმინისტრირების, საკრედიტო და სხვ. სფეროებში

5. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საპროგნოზო პარამეტრები 2011- 2017 წლებში.

(ეკონომიკის ცალკეული სექტორების მიხედვით გამოიყოს ხელსაყრელი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით პროდუქციის წარმოების ზრდის პრიორიტეტული მიმართულებები, მომსახურების სფეროს, განსაკუთრებით ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარების შესაძლებლობები).

ცაგერის მუნიციპალიტეტს გააჩნია სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანისა და გადამუშების განვითარების კარგი პერსპექტივა, რასაც განაპირობებს ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, საუკეთესო ჯიშის ღვინოები, იაფი მუშახელი, მიწის რესურსების სიიაფე, ტრადიციები და გამოცდილება.

წყლის უხვი რესურსი საუკეთესო წინაპირობაა მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის. უკვე არსებობს

ნამახვანის კასკადური ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას, ასევე მიმდინარეობს სამუშაოები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობის კუთხით.

მუნიციპალიტეტი მდიდარია საკურორტო ადგილებითა და მინერალური წყლებით, კულტურული და რელიგიური ძეგლებით, რაც ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი პირობაა.

მრეწველობის კუთხით საყურადღებოა წყლისა და ტყის რესურსების, ინერტული მასალების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავება.

განხორციელდება SWOT ანალიზი ეკონომიკის ცალკეული სექტორების მიხედვით, ანუ ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და მოსალოდნელი რისკების კომპლექსური ანალიზი და შეფასება. გამოიყოფა მეურნეობის შემდეგი სექტორები:

- სოფლის მეურნეობა;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავება;
- ენერგეტიკა;
- ტურიზმი;
- მინერალური და რეკრეაციული რესურსების გამოყენება და სხვ.

SWOT ანალიზი

<u>სოფლის მეურნეობა</u> **ძლიერი მხარეები**:

- ტრადიცია, ცოდნა;
- ხელსაყრელი გარემო (კლიმატი, ნიადაგი, წყალი, ჰაერი);
- პროდუქციის მრავალფეროვნება;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია;
- იაფი მუშახელი;
- მიწის რესურსების სიიაფე,
-დაბალი თვითღირებულება.

სუსტი მხარეეები:

- ბაზრის უქონლობა;
- მწირი და მოძველებული ჯიშები და ტექნოლოგიები;
-ფერმერები არასათანადო ინფორმირებულობა ტექნოლოგიებისა და ბაზრების შესახებ;
-ადგილობრივი პროდუქციის წარმოებისა და გასაღების არაორგანიზებულობა;

-ტექნიკის სიმცირე
-განუვითარებელი ინფრასტრუქტურა
-შხამქიმიკატების დაბალი ხარისხი და ხელმისაწვდომობა.
- ხარისხიანი სათესლე მასალით უზრუნველყოფა

<u>ტურიზმი</u> **ძლიერი მხარეები**:
- ხელსაყრელი ბუნება
- საკურორტო ადგილები
- მინერალური წყლები
- რელიგიური და კულტურული ღირშესანიშნაობები

სუსტი მხარეები:
განუვითარებელი ინფრასტრუქტურა

ამგვარი მიდგომის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ძლიერი მხარეების წარმოჩენით, სუსტი მხარეების დაძლევითა და მოსალოდნელი რისკების მაქსიმალურად გაუვნებელყოფით გამოვკვეთოთ თითოეული დარგის განვითარების შესაძლებლობები.

მაგალითისათვის:

<u>სოფლის მეურნეობის</u> კუთხით **ძლიერ მხარეებად** შესაძლებელია მიჩნეულ იქნას:

- ტრადიცია, ცოდნა, კომპეტენციები;
- ხელსაყრელი გარემო (კლიმატი, ნიადაგი, წყალი, ჰაერი);
- პროდუქციის მრავალფეროვნება (ხილი, ბოსტნეული, მესაქონლეობა და სხვ.);
- დედაქალაქთან და სატრანზიტო მაგისტრალთან სიახლოვე ანუ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა
- საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების დახმარებადა სხვ.

სუსტი მხარეები:
- ბაზრის უქონლობა;
- პროდუქციის არასათანადო ხარისხი (პროდუქცია არ არის ადაპტირებული ევროპის ბაზართან და სტანდარტებთან);
- მწირი და მოძველებული ჯიშები და ტექნოლოგიები;

- ფერმერები არასათანადო ინფორმირებულობა ტექნოლოგიებისა და ბაზრების შესახებ;
- ადგილობრივი პროდუქციის წარმოებისა და გასაღების არაორგანიზებულობა;
- სტრატეგიული გეგმის არარსებობა, მეცნიერებასთან და ინოვაციებთან სუსტი კავშირი; შხამქიმიკატების დაბალი ხარისხი და სხვ.

შესაძლებლობები:

- პროდუქციის ადაპტაცია ევროპულ ბაზართან (ჯიშთა გაუმჯობესება მაგ: მეცხოველეობასა და მებაღეობაში) ამისათვის საჭიროა ტექნოლოგიური გადაიარაღება, ტრეინინგების ჩატარება ფერმერებისათვის მარკეტინგის სფეროში;
- პრობლემების მოგვარება ირიგაციისა და ქიმიიზაციის სფეროში;
- ადგილობრივი ბაზრის ორგანიზაციის გაუმჯობესება;
- მრეწველობის და საწარმოო სერვისის სფეროს განვითარების აუცილებლობა;
- სახელმწიფოს მხარდაჭერა (სუბსიდირების მექანიზმები, სათესლე მასალით უზრუნველყოფა) და ა.შ.

6. საინვესტიციო წინადადებების მატრიცა ----------

ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განისაზღვრება წინადადებები, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა მოზიდულ იქნას ინვესტიციები. (ინვესტირების მოცულობა, სტრუქტურა, მოსალოდნელი სოციალური და ეკონომიკური შედეგები).